საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2254-03
24/11/2023

,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დასაფინანსებლად საფაკულტეტო კვოტების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 09 ნოემბრის N1520953 და 2023 წლის 21 ნოემბრის N 1588455 ბრძანებების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის ირინა ბაზღაძის 2023 წლის 24 ნოემბრის N20690-35 სამსახურებრივი ბარათის, ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" რექტორის N2229-03 16/11/2023 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დასაფინანსებლად საფაკულტეტო კვოტები შემდეგნაირად:

ფაკულტეტი	რაოდენობა	%	889
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი	5785	41%	368
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	5973	43%	379
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი	569	4%	36
სამართლის სკოლა	1662	12%	106
Grand Total	**13989**		

2. რექტორის N2229-03 16/11/2023 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად სტიპენდიანტ სტუდენტთა შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას უფლება აქვთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ბრძანებით შექმნან კომისია საფაკულტეტო დონეზე. კომისია განუსაზღვრავს შესაბამისი ქულების მქონე სტუდენტებს კრიტერიუმების დაკმაყოფილების შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაციისთვის გონივრულ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტები აღარ განიხილება სტიპენდიის გაცემის მიზნებისთვის.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს, ირინა ბაზღაძეს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი